საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/590

ქ. ბათუმი **13**-ნოემბერი, 2020 წელი

თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ელიფ ბილგის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, 52–ე მუხლის მე–3 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ "ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, „საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, ელიფ ბილგის 2020 წლის 25 აგვისტოს №727047 განცხადების, „ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 20 ოქტომბრის ბრძანების (MES 1 20 0001013234), ელიფ ბილგთან გაფორმებული ხელშეკრულების (26-15/170-2006/ბ; 29/10/2020), ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის გაიოზ ფარცხალაძის 2020 წლის 4 ნოემბრის № MES 0 20 0001064831 მოხსენებითი ბარათისა და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ლელა თავართქილაძის 2020 წლის 13 ნოემბრის მოხსენებითი ბარათის (1093925) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ელიფ ბილგი (პასპორტის N U22255320) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხოს ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან (სწავლის პირველი სემესტრი).
2. ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში.
3. ტექნოლოგიურმა ფაკულტეტმა უზრუნველყოს:

ა) ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილებასთან ერთად, ელიფ ბილგის სასწავლო კურსების აკადემიური რეგისტრაცია და დარეგისტრირებული კრედიტების სწავლის საფასურის გადახდისათვის შესაბამისი ინფორმაციის სტუდენტისთვის მიწოდება;

ბ) წინამდებარე ბრძანების ელიფ ბილგისთვის გაცნობა (გაუგზავნოს ელიფ ბილგს ხელშეკრულებაში (26-15/170-2006/ბ; აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე) და განთავსება სტუდენტის პირად საქმეში.

4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ., №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**